განმცხადებელი: გულნარა ძირკვაძე
თარიღი: 12-02-2021

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: პრინციპი 1

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები:

მარნეულის ტელევიზია & რადიო მარნეული დაიდო მათ გვერდზე და გაშუქდა ჩემი ოჯახის მიმართ შეურაცხმყოფელი ცრუ ინფორმაცია, რომლის დადასტურება არ მომხდარა არც ჩემი ოჯახის რომელიმე წევრისთვის უკითხავთ რამდენად სწორი იყო ეს ინფორმაცია. მათ მიერ გამოქვეყნებულ Facebook გვერდზე გაჩნდა შეურაცხმყოფელი კომენტარები ისმის მუქარებიც მოსახლეობისგან. მე ვთვლი, რომ დაირღვა უხეშად ჩემი ოჯახის უფლებები ამ ტელეკომპანიების მიერ

სადავო მასალა: ტვ .მარნეული და რადიო მარნეულის მიერ გაშუქებული სოფ. ახალი დიოკნისის მოსახლეობასთან გადაღებული სადაო მიწაზე, რომელიც გაიყიდა ჩემი ოჯახიდან და ის იყო კერძო საკუთრებაში ჩემი ოჯახის. მოვითხოვ აიღოს ვიდეო და მოიხადოს ბოდიში

https://www.youtube.com/watch?v=4Ii5_su6cNI
https://www.youtube.com/watch?v=J2ZdSY34-O8

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება: მიწა რომელიც გავყიდეთ არის კერძო საკუთრება ოჯახის 22 წელია უკვე არ გვაძლევდნენ უფლებას დაგვემუშავებინა საქონლის გამო მოსავალს ვერ ვიღებდით ვერც ვამუშავებდით რადგან უშვებდნენ შინ საქონელს საძოვრად უნდოდათ სამი სასამართლო მოვიგეთ და დავიღალეთ უკვე ამ ხალხთან საერთო ენას ვერ გამონახავს ადამიანი მათ საკუთარი თქვი კანონზე მაღლა უყენიათ ასე ფიქრობენ. მიწა გავყიდეთ კანონის დაცვით. არ უშვებენ ახალ მფლობელს და ლანძღავენ მიცვალებულ მამას, გვიწოდებენ თაღლითებს გვემუქრებიან საფლავის წაბილწვით რომ ამოთხრიან მამაჩემს რომ მიუვარდებიან დედაჩემს ოჯახში და ასე შემდეგ. ამ ორ საინფორმაციოთი გაშუქდა მარტო სოფლის მხარე დაუსაბუთებლად და ეს გააშუქეს ისე რომ არ გადაამოწმეს რამდენად სწორია რასაც ამბობენ. ასევე წავიდა კომენტარები შეურაცხმყოფელი და ამ ყველაფრით ირღვევა უხეშად ჩვენი უფლებები. კანონზე მაღლა ვერავინ დადგება .მოიხადოს ბოდიში

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას.: ვეთანხმები